



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №73

2015 წლის 31 ივლისი

ქ. ლანჩხუთი

ქ. ლანჩხუთში, თავისუფლების ქ. N1-ის მიმდებარედ არსებული ობიექტისთვის ნომრის მინიჭების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, პარკების, სხვა გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ქუჩების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N23 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. მიენიჭოს, ქ. ლანჩხუთში, თავისუფლების ქ. N1-ის მიმდებარედ, ვარდენ იმნაძის საკუთრებაში არსებულ ობიექტს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N27.06.56.448) თავისუფლების ქუჩის ნომერი 1^ა.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ხელაძე